

საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკრო და მცირე ბიზნესის ფინანსური ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება

2020

II დღე - ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება

- რატომ არის მნიშვნელოვანი ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება
- საკრედიტო - საინფორმაციო ბიური
- ფინანსური ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია
- ფინანსური უწყისები
- ფინანსური კოეფიციენტები

ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება

მნიშვნელოვანია ფინანსური ორგანიზაციისთვის

არ გასცეს ისეთი სესხი, რომელიც უკან არ დაუბრუნდება

მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის

თუ ბიზნესი ვერ აფასებს საკუთარ გადახდისუნარიანობას - ფინანსური ინსტიტუტი ერთგვარი კონსულტანტია, რომელიც აფასებს ბიზნესის მდგომარეობას

ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება

ბიზნესის ფინანსური ანალიზი

- შემოსავლის და გასავლის დამადასტურებელი საბუთები
- ფინანსური ანგარიშგება - ფინანსური უწყისები
- ფინანსური კოეფიციენტები

ბიზნესის შეფასების სხვა კრიტერიუმები

- ინვესტიციის მიზანი
- საქმიანობის განხორციელების გრაფიკი
- წარმოდგენილი უზრუნველყოფის საშუალებები
- საპროგნოზო ქმედებები და შედეგები
- საკუთარი თანამონაწილეობა ინვესტიციაში.

ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება

სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში

- შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ყადაღა
- დავალიანების დაფარვა მოეთხოვება თავდებს.
- უზრუნველყოფის დაკარგვის საშიშროება

სესხის ხანგრძლივად და ხშირად ვადაგადაცილების შემთხვევაში

- ჯარიმის გადახდა
- საკრედიტო ისტორიის გაუარესება
- მომავალში დაფინანსებაზე უარის მიღების ალბათობის ზრდა

გამოკითხვა

რა ინფორმაცია ინახება საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში?

1. ინფორმაცია ბიზნესის შემოსავლებზე
2. ინფორმაცია მიმდინარე და დაფარულს სესხებზე
3. ინფორმაცია საგადასახადო დავალიანების შესახებ
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია

საკრედიტო - საინფორმაციო ბიურო

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო აგროვებს, ინახავს, ამუშავებს და გასცემს პირის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები
- ინფორმაცია აქტიური და დახურული (დახურვიდან 5 წლის განმავლობაში) საკრედიტო პროდუქტების შესახებ
- ინფორმაცია გადახდების შესახებ
- საკრედიტო რეიტინგი
- დამატებითი ინფორმაცია (თავდებობა, უძრავი ქონება)

!

აუცილებელია პირის თანხმობა მასზე ინფორმაციის გადასამოწმებლად

!

მხოლოდ სესხის გამცემ ორგანიზაციას აქვს უფლება მისი მიმდინარე მსესხებლის ინფორმაციის გადამოწმებაზე დამატებითი თანხმობის გარეშე

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

! თქვენ გაქვთ უფლება:

- ნებისმიერ დროს მოითხოვოთ და არაუგვიანეს მოთხოვნიდან **ერთი სამუშაო დღისა** მიიღოთ თქვენზე ბიუროში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით
    - ნებისმიერ დროს და განუსაზღვრელი რაოდენობით (ბიუროს მიერ დადგენილი **საფასურის სანაცვლოდ**)
    - წელიწადში სამჯერ – **უფასოდ**

- მოითხოვოთ მონაცემთა შესაბამისი ცვლილება/დაბლოკვა/წაშლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

mycreditinfo.ge - მთავარი გვერდი

live.mycreditinfo.ge/#/Home/PricingPlans - მომსახურების შეძენა

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ბიზნეს გეგმა
- შემოსავლების და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები
- აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია

გამოკითხვა

ვის აწვდის თქვენგან მიღებულ ინფორმაციას ბანკი (ფინანსური ორგანიზაცია) ?

1. საგადასახადო ორგანოს
2. სხვა ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს
3. თქვენგან მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია

კონფიდენციალურია!!!

CONFIDENTIAL

ბიზნეს
იდეა

ფინანსური
ინფორმაცია

გეგმები





ფინანსური უწყისები

ფინანსური იწყისები იძლევა ინფორმაციას:

- ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობაზე
- ბიზნესის გადახდისუნარიანობაზე
- საქმიანობის შედეგებზე
- რესურსების გადანაწილებაზე
- და სხვა

მოგება - ზარალის უწყისი

საბალანსო უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

გამოკითხვა

საბალანსო უწყისის მეშვეობით შესაძლებელია?

1. გამოვთვალოთ პროდუქციის თვითღირებულება
2. გავიგოთ დამფუძნებლების მიერ ბიზნესში ჩადებული საკუთარი კაპიტალის მოცულობა
3. გავიგოთ ბიზნესის ყოველთვიური მოგების ოდენობა

ფინანსური უწყისები:

საბალანსო უწყისი

აქტივი

აქტივი არის ნებისმიერი ფასეულობა, რომელსაც კომპანია ფლობს ან რომელიც სხვებს მართებთ კომპანიის მიმართ.

- მოკლევადიანი
- გრძელვადიანი

ვალდებულება

ვალდებულება არის ის, რაც კომპანიას ეკისრება სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიმართ.

- მოკლევადიანი
- გრძელვადიანი

კაპიტალი

კაპიტალი არის მფლობელების მიერ ბიზნესში ინვესტირებული ფული ან ქონება.

- მფლობელის ინვესტიცია ბიზნესში
- ბიზნესის მოგება დივიდენდის გადახდის შემდგომ

ფინანსური უწყისები : საბალანსო უწყისი

აქტივები	
მიმდინარე აქტივები:	
ნაღდი ფული	20,000.00
ფული საბანკო ანგარიშზე	
დებიტორული დავალიანება (კლიენტებისგან მისაღები თანხები)	1200
სასაქონლო მარაგები/წედლეული	2,500.00
წინასწარ გაწეული ხარჯები (წინასწარ გადახდილი იჯარა, რეკლამა, დაზღვევა და სხვა)	
სხვა მისაღები თანხები	
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**23,700.00**
გრძელვადიანი აქტივები:	
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	7,000.00
მოწყობილობა და დანადგარები	19,000.00
სატრანსპორტო საშუალებები	5,000.00
უძრავი ქონება	
მიწა	
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	**31,000.00**
არამატერიალური აქტივები:	
ლიცენზია და პატენტი	
მთლიანი არამატერიალური აქტივები	**0**
მთლიანი აქტივები	54,700.00

ვალდებულებები	
მიმდინარე ვალდებულებები:	
კრედიტორული დავალიანება (მომწოდებლებისთვის გადასახდელი თანხები)	1,900.00
გადასახდელი ხარჯები (ხელფასები, იჯარა, დაზღვევა, კომუნალურები და სხვა)	2600
ავანსად მიღებული შემოსავლები	
მოკლევადიანი სესხები	
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	***4,500.00***
გრძელვადიანი ვალდებულებები:	
გრძელვადიანი სესხები	15,000.00
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	***15,000.00***
მთლიანი ვალდებულებები	***19,500.00***
კაპიტალი	
კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	20,000.00
გაუნაწილებელი მოგება (მოგების და დივიდენდის სხვაობა)	15,200.00
მთლიანი კაპიტალი	***35,200.00***
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	54,700.00

! გაუნაწილებელი მოგება=წმინდა მოგება-დივიდენდი

https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatleba-metsarmeebistvis-7

გამოკითხვა

მოგება-ზარალის უწყისის მეშვეობით შესაძლებელია?

1. ბიზნესის აქტივების და ვალდებულებების გამოთვლა
2. ბიზნესის შემოსავლების და ხარჯების გამოთვლა
3. ორივე ერთად

ფინანსური უწყისები: მოგება - ზარალის უწყისი

შემოსავალი - ბიზნეს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

- გაყიდული საქონელი
- გაწეული მომსახურება

საწარმოო ხარჯები - პროდუქციის თვითღირებულება

- მოხმარებული ნედლეული/პირდაპირი მასალა
- პირდაპირი შრომა
- საწარმოო ზედნადები დანახარჯები

არასაწარმოო ხარჯები

- კომპანიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები / ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები
- გაყიდვები / მარკეტინგი
- ადმინისტრაციული საქმიანობის ხარჯები

ფინანსური უწყისები: მოგება - ზარლის უწყისი

მაგალითი

- კომპანია რეგისტრირებულია ინდ. მეწარმედ
- აგვისტოს თვეში, კომპანიამ გაყიდა **49 000** ლარის პროდუქცია, თუმცა დაზიანების გამო უკან დაუბრუნდა **3600**
- კომპანია პროდუქციის საწარმოებლად თანამშრომლებს უხდის **15 000** ლარს, ასევე აქვს მასალის ხარჯი **5 000** ლარი და კომუნალურები **1 000** ლარი.
- კომპანიას ასევე ჰქონდა ადმინ. ხელფასების ხარჯი **7 000**; ტრანსპორტირების ხარჯი **2000**; ქირა **1500** და მარკეტინგული ხარჯი **2500** ლარი.
- კომპანიას აქვს სესხის გადასახადი **1200** , საიდანაც პროცენტის ნაწილს შეადგენს **150** ლარი

მოგება – ზარალის უწყისი	თანხა
შემოსავლები:	
მთლიანი გაყიდვები	*49000*
უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	*3600*
წმინდა გაყიდვები	*45400*
ხარჯები:	
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	*21000*
ადმინისტრაციული ხელფასების ხარჯი	*7000*
ტრანსპორტირების ხარჯები	*2000*
იჯარა/ქირა	*1500*
მარკეტინგული ხარჯი	*2500*
კომუნალური ხარჯები (ადმინისტრაციული)	
საოფისე ხარჯები	
საბანკო მომსახურების ხარჯები	
დაზღვევა	
ქონების გადასახადი	
რემონტი	
ცვეთა (იხ. ლექსიკონი)	
სხვა ხარჯი	
მოგება საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახადე	*11400*
სესხის გადასახადი - საპროცენტო ხარჯი	*150*
მოგება გადასახადებამდე:	*11250*
მოგების გადასახადი	*1687.5*
წმინდა მოგება (ზარალი)	9562.5

მნიშვნელოვანია!

- მიაწოდეთ ფინანსურ ორგანიზაციას უტყუარი და სრულფასოვანი ინფორმაცია.

- მცდარი ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა გარკვეული პერიოდის შემდეგ ბიზნესი კრედიტის გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე დააყენოს.

- თქვენს მიერ ფინანსური ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

ფინანსური კოეფიციენტები

სესხის მომსახურების კოეფიციენტი (>1,3)

- ბიზნესის გადახდისუნარიანობის განსაზღვრა
- აქვს თუ არა ბიზნესს საკმარისი წმინდა შემოსავლები საკრედიტო ვალების დასაფარად

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (>1)

- საკმარისია თუ არა ბიზნესის აქტივი, რომლის ფულად გარდაქმნა მარტივია, იმისათვის, რომ იგი დაიხარჯოს მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი (>30%)

- რა მოცულობის ვალდებულების დამატების საშუალება აქვს ბიზნესს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ პრობლემებს საკუთარი კაპიტალით გაუმკლავდეს.

გამოკითხვა

თუ ბიზნესიდან ყოველთვიურად საშუალოდ 2000 ლარის მოგება გრჩებათ, ამ დროს სესხის დასაფარად შეიძლება?

1. 2000 ლარი მთლიანად გადაიხადოთ ყოველთვიურად
2. 1500 ლარამდე გადაიხადოთ ყოველთვიურად
3. 2000 ლარზე მეტის გადახდაც შესაძლებელია ყოველთვიურად

სესხის მომსახურების კოეფიციენტი > 1.3

განსაზღვრავს ბიზნესის გადახდისუნარიანობას, ანუ აქვს თუ არა ბიზნესს საკმარისი წმინდა შემოსავლები საკრედიტო ვალების დასაფარად

სესხის მომსახურების კოეფიციენტი

=

ყოველთვიური მოგება (საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახამდე)

÷

მსესხებლის ყოველთვიური სესხის გადასახადი

სესხის მომსახურების კოეფიციენტი

მაგალითი:

თქვენ ბიზნესს სჭირდება სესხი

- **მოკლევადიანი - 12 თვით**
- **სესხის მომსახურების კოეფიციენტი - 0.95**

- **მიიღებს თუ არა ბიზნესი სესხს?**
- **რა შეიძლება გააკეთოს ბიზნესმა?**

	თვე #1	თვე #2	თვე #3	საშუალო მაჩვენებელი (3 თვე)
A - მოგება საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახადებამდე	1500	600	1200	**1100**
B - სესხის გადასახადი	750	750	750	**750**
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (A / B)	2	0.8	1.6	**1.5**

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი > 1

საკმარისია თუ არა ბიზნესის აქტივი, რომლის ფულად გარდაქმნა მარტივია, იმისათვის, რომ იგი დაიხარჯოს მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი

=

მიმდინარე აქტივები

÷

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი მაგალითი:

მიმდინარე აქტივები თქვენს ბიზნესში

სულ: 109 000 ლარი

- ფული 25 000 ლარი
- დებიტორული მოთხოვნა 54 000 ლარი
- საქონლის მარაგი 30 000 ლარი

მიმდინარე ვალდებულებები ბიზნესში

სულ: 68 000 ლარი

- მომწოდებლებთან 28 000 ლარი
- საბანკო ოვერდრაფტი 40 000 ლარი

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = 109 000 / 68 000 = 1,6

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი > 30%

რა მოცულობის ვალდებულების დამატების საშუალება აქვს ბიზნესს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ პრობლემებს საკუთარი კაპიტალით გაუმკლავდეს.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

=

საკუთარი კაპიტალი

÷

მთლიანი აქტივები

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

მაგალითი:

- მთლიანი აქტივები თქვენს ბიზნესში 26 000 ლ.
- მთლიანი ვალდებულებები ბიზნესში 14 000 ლ.
- საკუთარი კაპიტალი ბიზნესში 12 000 ლ.

- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი = 12 000 / 26 000 = 0,46=46%
- შეუძლია თუ არა ბიზნესს, რომ აიღოს სესხი?
- თუ დამატებით გსურთ 10 000 ლარის სესხის აღება?
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი = 12 000 / 36 000 = 0,33=33%

მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო

კურსი შედგენილია ბროშურის - „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“ - მიხედვით.

ჩამოტვირთეთ უფასოდ

https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-ganatleba-metsarmeebistvis-7

ჩემი
ფინანსური
მეგზური

finedu

გამოგვყევით

FACEBOOK

YOUTUBE

www.finedu.gov.ge

მადლობა ყურადღებისთვის